ქალის როლი არქიტექტურაში

ანტიე ფერმანი

საკვანძო სიტყვები: *არქიტექტურა, არქიტექტურული კონკურსი, ქალები არქიტექტურაში, ქალი არქიტექტორები*

როცა ვლაპარაკობთ ქალებზე შუა საუკუნეების არქიტექტურაში, ვგულისხმობთ მათ პატრონაჟს. დიახ, ქალები უკვეთავდნენ, გამოდიოდნენ მშენებლობის ინიციატორის როლში, მაგრამ თავად არ აპროექტებდნენ, არ აშენებდნენ. სწორედ ამას გვამცნობს ტერეზა მარტინის რედაქტირებით გამოცემული ესეიების კრებული.[1] მიუხედავად ამისა, არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ერთი ქალი არქიტექტორის არსებობას მე-14 საუკუნეში, რომელმაც ხუროთმოძღვარი მამისგან გადაიბარა საქმე როგორც ოსტატმა. შუა საუკუნეების დოკუმენტებში არ გვხვდება სხვა ფაქტები აგნეს რემზის შესახებ. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რა როლს ასრულებდა იგი, როგორც თავისი მამის პროფესიული მემკვიდრე. მისი სახელი გვხვდება მხოლოდ ერთ დოკუმენტში შესყიდვის შესახებ: საფრანგეთის დედოფალმა, იზაბელამ მას შეუკვეთა აკლდამის აშენება ლონდონის ფრანცისკანელთა ტაძარში. მიუხედავად ამისა, პირველი ქალი არქიტექტორის - აგნეს რემზის სახელი არ გვხვდება მარტინის მიერ რედაქტირებულ წიგნში - არადა, იდეალური მაგალითი იქნებოდა![2] ასე, რომ შუა საუკუნეების არქიტექტორი აგნეს რემზი არ არის ასახული კვლევებში ქალი არქიტექტორების შესახებ.

კიდევ ერთი ქალი არქიტექტორი შეიძლება ყოფილიყო ლედი ელიზაბეთ უილბრამი,[3] რომელიც 1632 წელს დაიბადა. შემდგომში მან, არქიტექტურის შესწავლის და სხვადასხვა ქვეყნის ხუროთმოძღვრების გაცნობის მიზნით, იმოგზაურა ინგლისიდან საფრანგეთში.[4] მას ჰქონდა პალადიოს წიგნი Quattro Libri, რომელსაც მან თავად გაუკეთა ანოტაციები. აღნიშნულის საფუძველზე მილარი აკეთებს დასკვნას, რომ უილბრამს აშენებული უნდა ჰქონოდა 400 ნაგებობა. თუმცა არც ერთი ნახაზი თუ დოკუმენტი არ ადასტურებს მის როლს ამ მშენებლობებში, გარდა პატრონაჟისა.

სოფი გრეის მიეწერება არქიტექტორის მოყვარული მრჩევლის ან თავად არქიტექტორის როლი. ითვლება, რომ მან 1848-1871 წლებში სამხრეთ აფრიკაში ააშენა, სულ მცირე, 40 ანგლიკანური ეკლესია.[5] თავისი ერთ-ერთი პირველი ეკლესიის - წმ. მარკოზის საკათედრო ტაძრის პროექტი ქალაქ ჯორჯში მან შექმნა 1848 წელს, რომელიც შოტლანდიელმა ქვითხუროებმა 1849-1950 წლებში ააგეს (სურ. 1). გრეის ტაძრები გადაწყვეტილია ნეო-გოთიკურ სტილში და მოგვაგონებს შუა საუკუნეების ინგლისისთვის დამახასიათებელ სოფლის ეკლესიებს. მართალია, ეს ტაძრები განიხილებოდა, როგორც უფრო დაბალი რანგის ნაგებობები - ეპისკოპოსის მეუღლის ნამუშევრები, მაგრამ მათი შემქმნელი ნამდვილად იმსახურებს არქიტექტორის წოდებას.

ქალების არქიტექტურაში მოღვაწეობის შესახებ ასეთი მწირი ინფორმაციაა. დიახ, ეს ვაკუუმი არქიტექტურის ისტორიაში გამოწვეულია მონაცემების ნაკლებობით, მაგრამ ვცდილობთ კი ჩვენ მონაცემთა ბაზებში ქალი არქიტექტორების პოვნას? და, საერთოდ, გვჯერა, რომ ქალები - მაგალითად, რემზი, უილბრამი ან გრეი, შეიძლება იყვნენ სრულფასოვანი არქიტექტორები? არა, როცა ლაპარაკია შუა საუკუნეების და ადრეული საუკუნეების პერიოდზე, რადგან, თუკი არსებობდნენ კიდეც ქალი ქვითხუროები, მათი სახელები არ გვხვდება თანამედროვე დოკუ-

1 Martin, Women As 'makers', 2012.
2 Fehrmann, Grab und Krone, 2008, 53-4.
3 ჯონ მილარი წერს, რომ ის იყო პირველი ქალი არქიტექტორი, რამდენადაც მან არ იცოდა აგნეს რემზის შესახებ. MILLAR, Woman Architect, 2010
4 Millar, Woman Architect, 2010.
5 Martin, Bishop's Churches, 2005.

მენტებში. დღეს ჩვენ ბევრად მეტი მონაცემთა ბაზა გვაქვს, სადაც შეგვიძლია დავძებნოთ ინფორმაცია სახელების ან/და ისეთი საკვანძო სიტყვების საფუძველზე, როგორებიცაა „ქვითხურო“, „მშენებელი“, „არქიტექტორი“. თუკი ხსენებულ ადრეულ ეპოქებში არსებობდნენ კიდეც ქალი არქიტექტორები, მათი სახელები გამოტოვებულია.

საინტერესო საკითხია ახალ ეპოქაში ქალების ადგილი არქიტექტურულ კონკურსებში და არქიტექტურის შესახებ დაწერილ ლიტერატურაში. დღემდე ქალი არქიტექტორების უმრავლესობა ან არ არის ნახსენები შესაბამის დოკუმენტებში ან, საერთოდ, დავიწყებულია. სტუდენტებს, მომავალ არქიტექტორებსა თუ არქიტექტურის ისტორიკოსებსაც კი, ძალიან უჭირთ, ზაჰა ჰადიდის გარდა, სხვა ქალი არქიტექტორების გახსენება. ქალი არქიტექტორები მუშაობდნენ ან მემკვიდრეობით იღებდნენ თავიანთი ოჯახის წევრთა არქიტექტურულ საქმეს, მეუღლეებთან ერთად ქმნიდნენ პროექტებს, მაგრამ მათ სახელებს თითქმის არ ახსენებდნენ. მათთვის უბრალოდ არ იყო ადგილი არქიტექტურისა და ინჟინერიის არაბინარულ ისტორიაში, რომელშიც მამაკაცები დომინირებდნენ.

1975 წელს არქიტექტორმა და არქიტექტურის თეორეტიკოსმა დენის სკოტ-ბრაუნმა დაწერა ესეი არქიტექტურაში სექსიზმის და ვარსკვლავების სისტემის შესახებ (გამოქვეყნდა 1989 წელს). ესეიში, ის აღწერს თავის საბედისწერო როლს, არქიტექტორისა და გავლენიანი კოლეგის, რობერტ ვენტურის ცოლის რანგში და აკრიტიკებს არქიტექტურის ისტორიაში გენდერულ დაყოფას, დომინანტ მამაკაცურ ქსელს, რომელიც არქიტექტურულ კონკურსებსა და პრიზების გაცემაში ვლინდება.[6]

რატომაა ქალების როლი არქიტექტურაში დღემდე უცნობი, ანდა მიზანმიმართულად მიჩქმალული? ისინი უბრალოდ დავიწყებას მიეცნენ თუ იმთავითვე არ იყვნენ ნახსენებნი შესაბამის დოკუმენტებში, რათა რობერტ ვენტურის და სხვა მამაკაცთა გენიალურობა არ შელახულიყო? იქნებ აქ საქმე ქალი მშენებლის მიმართ damnatio memoriae-სთან გვაქვს? რატომ ვერ დაეხმარა არქიტექტურული კონკურსები ქალებს? ნუთუ არ იყო ქალთა არქიტექტურული პროექტები ჯილდოს ან, საერთოდ, კონკურსებში მონაწილეობის ღირსი? თუ საქმე ბიოლოგიურ ფაქტორთან გვაქვს, იქნებ შედარება სხვებთან, ბრძოლისა თუ კონკურენციის კრიტიკული პროცესი კიდევ უფრო უადგილოს ხდის ქალთა მონაწილეობას? რადგან ბევრ მათგანს გამოჩენა და ბრძოლა არ სურს.

კონკრეტულად ქალთა არქიტექტურული მიღწევების საკითხი დაკავშირებულია არქიტექტურის შექმნის პროცესთან, რომელიც განსხვავდება ხელოვნების სხვა დარგებში შემოქმედებისგან. კონკურსები საუკეთესო არქიტექტურული პროექტების გამოსავლენად ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი პერიოდიდან არის ცნობილი, თუმცა მაშინ ეს ძალზე იშვიათი მოვლენა იყო.[7]

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული კი (ბრიტანეთში ოდნავ უფრო ადრე – მე-18 საუკუნიდან, ხოლო კონტინენტზე შედარებით მოგვიანებით – 1840-იანი წლებიდან) არქიტექტურული შემოქმედების პროცესი საგრძნობლად შეიცვალა. ინდუსტრიული წარმოება ითხოვდა მშრომელთა უსაფრთხო დაბინავებას, საინჟინრო სტანდარტების დაცვას და ახალი ტიპის შენობებს, რომლებიც აუცილებელი იყო სწრაფად მზარდი ქალაქებისთვის. არქიტექტურული კონკურსები იმთავითვე იყო ჩაფიქრებული, როგორც საერთაშორისო ნიმუშების შედარების საფუძველზე საუკეთესო არქიტექტურული პროექტების და შენობების გამოვლენის ოპტიმალური გზა. იქმნებოდა სხვადასხვა ტიპის ჟიური, რომლებიც ადგენდნენ კონკრეტულ მიმართულებას და პროგრამას და შემდეგ აცხადებდნენ კონკურსს, ხოლო ინფორმაცია ამის შესახებ მსოფლიოში ვრცელდებოდა გაზეთების მეშვეობით. საინტერესოა, რომ პირველი კონკურსები მართლაც საერთაშორისო იყო: ინფორმაცია 1842 წელს ჰამბურგის (გერმანია) ცენტრალური ტაძრის დაპროექტებაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ ბრიტანულ გაზეთებშიც გამოქვეყნდა, რადგან ჟიურის სურდა, რომ წმ. ნიკოლოზის ტაძარი ყოფილიყო გოთურ სტილში გადაწყვეტილი და ტექნიკურად უზადოდ შესრულებული, ხოლო ამისთვის იდეალურ კანდიდატად სწორედ ბრიტანელი არქიტექტორი მოიაზრებოდა.[8]

6 Scott-Brown, Star System, 1989.

7 de Haan, Haagsma (ed.): Architects in competition, 1988. – Becker, Architekturwettbewerbe, 1992.

8 Fehrmann, Scott, 2019.

რამდენიმე კვირის შემდეგ, მოსალოდნელი იყო, რომ არქიტექტორები შეიტანდნენ განაცხადს და აღწერას. არქიტექტურული კონკურსების მომდევნო ეტაპზე კანდიდატების სახელები არ ცხადდებოდა, რათა გადაწყვეტილება მიუკერძოებელი ყოფილიყო. ნახაზები, ხშირად დიდი მასშტაბების და ფერადი, გამოფენილი იყო შესაბამის სივრცეებში, იზიდავდა აუდიტორიის ყურადღებას და ასაზრდოებდა დისკუსიებს თანამედროვე არქიტექტურის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ექსპერტთა ჟიური. როგორც წესი, არქიტექტორებს უწევდათ თავდაპირველი ნახაზების გადაკეთება. ზოგჯერ ჟიურის გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებდა დამკვეთსა თუ საზოგადოებას და ინიშნებოდა ახალი ჟიური მათთვის სასურველი პროექტის გამოსავლენად. ასევე შესაძლებელი იყო სრულიად ახალი კონკურსის გამოცხადებაც.[9]

თავდაპირველად კონკურსი გულისხმობდა შედარებას და დახვეწას. დამკვეთთა ჯგუფები (მაგალითად, ეკლესიის კომიტეტი, ქალაქის საბჭო და კერძო საზოგადოება) ეძებდნენ იდეალურ შენობას პოლიტიკური წარმომადგენლობის, ტექნიკური ინოვაციის და ახალი ტიპის ესთეტიკის თვალსაზრისით - და ყოველივე ეს ეფუძნებოდა საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე შედარების პრინციპს. ითვლებოდა, რომ ეს კონკურსები სამართლიანი და მიუკერძოებელი იყო. უფრო ადრეულ ეპოქებში კი მონარქები, მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები და მუნიციპალური საბჭოები წყვეტდნენ, რომელი არქიტექტორი აერჩიათ იდეალური შენობის ასაგებად: ბერლინში, მაგალითად, ასეთი არქიტექტორი იყო კარლ ფრიდრიხ შინკელი, რომელიც წლების განმავლობაში განსაზღვრავდა ამ ქალაქის იერსა და დაგეგმარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონკურსები თავდაპირველად სახიფათოდ აღიქმებოდა, რადგან ისინი ძირს უთხრიდნენ დამკვეთთა ძალაუფლებას და ახალგაზრდა არქიტექტორებს თავიანთი პროექტების წარდგენის შესაძლებლობას აძლევდნენ. საიდან უნდა სცოდნოდა ჟიურის, რომ წინასწარი ნახაზები ტექნიკურად გამართული იყო? გარდა ამისა, კონკურსებს ხშირად აკრიტიკებდნენ, როგორც ზედმეტად რთულს, რადგან აუცილებელი იყო ბევრი შეხვედრის ჩატარება და სხვადასხვა ჯგუფისთვის მოგზაურობის უზრუნველყოფა; არქიტექტორებისთვისაც ძალიან ძვირი ჯდებოდა, რადგან მათ უამრავი თანამშრომლის დაქირავება უწევდათ, ვადებში რომ მოესწროთ. კონკურსი ძალიან ძვირი ჯდებოდა თავად დამკვეთებისთვისაც, რადგან მათ გამარჯვებული არქიტექტორი უნდა დაეჯილდოებინათ.

გარდა ამისა, საპრიზო ფონდები და სამშენებლო ფონდები იქცა ქალი არქიტექტორების დისკრიმინაციის კიდევ ერთ მეთოდად. პირველი პროფესიონალი ქალი არქიტექტორი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლუიზა ბლანჩარდ ბეთუნი საჯაროდ გამოდიოდა კონკურსების წინააღმდეგ, რადგან მიიჩნევდა, რომ არქიტექტორების შერჩევა უსამართლოდ მიმდინარეობდა. ის იყო 100-ზე მეტი შენობის (მათ შორის საჯარო სკოლების, პოლიციის განყოფილებების, ქარხნებისა და მაღაზიების) პროექტის ავტორი. 1891 წელს კი ბეთუნმა უარი განაცხადა ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენა-ბაზრობის ფარგლებში ქალთა შენობის ასაშენებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაზე. ერთ-ერთ საჯარო ლექციაში მან ახსნა მიზეზი: ბაზრობის ფარგლებში ქალთა შენობის ავტორისთვის სხვა შენობების არქიტექტორთა ანაზღაურების მხოლოდ 3/10 იყო გათვალისწინებული. ეს უსამართლობა იყო.[10]

თავად ჟიურის შემადგენლობაც მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში იყო გახვეული. ჟიურის მამაკაცი წევრები წყვეტდნენ ისევ მამაკაცებისთვის ჯილდოს გადაცემის საკითხს. მე-19 საუკუნეში არქიტექტორთა კონტინგენტი შეიცვალა: ოფისებში თვითნასწავლი შეგირდები ჩაანაცვლეს არქიტექტურულ სასწავლებლებში განათლებამიღებულმა პროფესიონალებმა. შესაბამისად, ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ არქიტექტურის ლექტორები, რომლებიც კონკურსებზე თავიანთ სტუდენტებს აგზავნიდნენ, რაც ზრდიდა მათი გამარჯვების ალბათობას. 1902 წელს ჰანოვერის უნივერსიტეტში სასწავლებლად შეტანილ საბუთებში პირველმა გერმანელმა თვითდასაქმებულმა არქიტექტორმა, ემილი ვინკელმანმა მიუთითა კაცის სახელი - „ემილ“ ვინკელმანი. მართალია, მას არ მი-

9 Fehrmann, Scott, 2019.
10 Hays, Bethune, 2014, 96-7.

ეცა სასწავლებლის დამთავრების საშუალება, მაგრამ 1907 წელს მაინც გაიმარჯვა ბერლინის ბლუმენშტრასეზე თეატრის ასაშენებლად გამართულ კონკურსში. მოგვიანებით მან დაიქირავა 15 კაცი და ქალი არქიტექტორი. სამწუხაროდ, მე ვერ მივაგენი ჩანაწერებს ამ თეატრის შენობასთან დაკავშირებით. მის მიერ აშენებულ Leistikowhaus-ს ბერლინში ამშვენებს თანამედროვე ფასადი ამობურცული შესასვლელით, ასევე პილასტრების, პატარა ლავგარდანების, ნეოკლასიკური სტილის წვეთოვანი დეკორაციების და ცრუ თაღების კომბინაცია (სურ. 2).

არქიტექტურა ყოველთვის იყო და არის დაკავშირებული გენდერულ ენასთან. ვიტრუვიუსი დიანას ტაძრის იონური ორდერის დახვეწილობას მიაწერდა ქალურ პროპორციებს, ხოლო მისი კაპიტელების ხვეულ ორნამენტებს ქალის დალალებს ადარებდა (სურ. 3). ძველი დროიდანვე ქალები ითვლებოდნენ არქიტექტურული სტილისა თუ ცალკეული ელემენტების შთაგონების წყაროდ და არა ინტელექტუალური გამოგონებების მამოძრავებელ ძალად. კონცეფციასა თუ დიზაინში დაშვებული შეცდომები კი ხშირად მიეწერებოდა ქალურ არაკომპეტენტურობას.

ბრიტანეთში ქალი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული პირველი საზოგადოებრივი შენობაა შექსპირის ისტორიული თეატრი სტრატფორდში (სურ. 4). 1928 წელს, გამარჯვებული დიზაინის ავტორმა, ახალგაზრდა არქიტექტორმა ქალმა - ელიზაბეთ სკოტმა პრესის მოწონება დაიმსახურა, როგორც „გოგომ, რომელმაც კაც არქიტექტორებს აჯობა“. ერთ-ერთი ჟურნალისტი ვარაუდობდა, რომ სკოტი უნდა ყოფილიყო „ისეთივე ძლიერი, უშუალო და გამბედავი, როგორც მისი დიზაინი“. თუმცა იგი გაოცებული დარჩა, როცა აღმოაჩინა, რომ სკოტი საკმაოდ მორიდებული და ქალური იყო.[11] მეორე მხრივ, ცნობილმა კომპოზიტორმა, სერ ედვარდ ელგარმა მკაცრად გააკრიტიკა ეს შენობა, როგორც „ენით აუწერელი სიმახინჯე და შეცდომა“, რითაც რეპუტაცია დაუზიანა „ამ საშინელ ქალს“ - არქიტექტორს, რომელსაც იგი არც კი იცნობდა.[12]

ჯერ კიდევ 1920 წელს ლუი ლილი ჰოუვი, თავად არქიტექტორი, გამოთქვამდა ეჭვს, რომ ქალებსა და კაცებს თანაბარი შესაძლებლობები არ ჰქონდათ: როგორც შემოსავლის წყარო, არქიტექტურა სარისკო და არამიზანშეწონილია ქალებისთვის, გარდა შემთხვევისა, როცა ქალს აქვს შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემები, რასაც ერთვის მიზანსწრაფულობა და მიზანდასახულობა - და, ამასთან, ალბათ განსაკუთრებით ხელსაყრელი გარემოებებიც“.[13] მიკერძოება ქალების წინააღმდეგ „იმდენად დიდი იყო, რომ მათთვის თითქმის შეუძლებელი იყო ამ პროფესიის დაუფლება“.[14]

არქიტექტურაში ქალების წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტი გულისხმობდა „ვარსკვლავურ სინდრომს“ და საკუთარი გენიალურობის შესახებ გაზვიადებულ წარმოდგენებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩუმი და არა კონკურენტული ხმების დაფასება არქიტექტურაში. დღეს, ზაჰა ჰადიდის გარდა, ძალიან ბევრი ბრწყინვალე არქიტექტორი ქალი მოღვაწეობს, მაგრამ მაინც 2018 წელს მაინის ფრანკფურტის არქიტექტურის მუზეუმმა მოაწყო კაცი არქიტექტორების 100 გამოფენა, ხოლო ქალი არქიტექტორებისთვის - მხოლოდ 14 (სურ. 5).[15]

ჩვენ კი ვიქონიოთ იმედი, რომ მომავალში მაინც ქალი არქიტექტორებისთვის ბევრად მეტი გამოფენა მოეწყობა!

გამოყენებული ლიტერატურა:

- BECKER Heidede, Geschichte der Architektur- und Städtebauwettbewerbe. Stuttgart, 1992.
- DARLEY Gillian, A Stage of her Own, in: The Guardian, 29.1.2011 [theguardian.com/artanddesign/2011/jan/29/

11 Darley, Stage, 2011.
12 Ibid.
13 Hays, Bethune, 2014, 103.
14 Ibid.
15 Pepchinski, Budde, Frau Architekt 2017.

elisabeth-scott-royal-shakespeare-theatre].
- FEHRMANN Antje, „... their feelings of patriotism were stirred up in a wonderful manner“: Sir George Gilbert Scott und der Bau der Hamburger Nikolaikirche nach 1842, in: Christina Strunck (ed.), Kulturelle Transfers zwischen Großbritannien und dem Kontinent. Petersberg, 2019, 62-81.
- FEHRMANN Antje, Grab und Krone: Königsgrabmäler im mittelalterlichen England und die posthume Selbstdarstellung der Lancaster. München / Berlin, 2008.
- Hilde DE HAAN and Ids HAAGSMA (ed.), Architects in Competition: International Architectural Competitions of the last 200 Years. London, 1988.
- HAYS Johanna, Louise Blanchard Bethune: America's First Female Professional Architect. Jefferson, 2014.
- MARTIN Desmond, The Bishop's Churches. Struik 2005.
- MARTIN Therese (ED.), Reassessing the Roles of Women As 'makers' of Medieval Art and Architecture. Leiden / Boston, 2012.
- MILLAR John, The First Woman Architect, in: Architects' Journal, 2010, vol. 232, p. 42.
- PEPCHINSKI Mary, Christina BUDDE et al. (eds.), Frau Architekt. Seit mehr als 100 Jahren: Frauen im Architekturberuf. Over 100 years of women as professional architects. Deutsches Architekturmuseum, Frankfurt / Main. Tübingen, Berlin, 2017.
- SCOTT-BROWN Denise, "Room at the Top? Sexism and the Star System in Architecture," in: Architecture: A Place for Women, ed. Ellen Perry Berkeley. Washington, D.C., 1989, pp. 237-246 (reprinted as „Sexism and the Star System in Architecture“, in: Having Words. London, 2009, pp. 79-89).

1. ჯორჯი (სამხრეთ აფრიკა), წმ. მარკოზის ანგლიკანური კათედრალი, სოფი გრეი. აშენებულია 1849-59 წწ. განივი ნავები დაემატა 1934 და 1954 წლებში.
GEORGE (SOUTH AFRICA), ST. MARK'S ANGLICAN CATHEDRAL, SOPHY GRAY, BUILT 1849-50. THE TRANSEPTS WERE ADDED IN 1934 AND 1954.
Stmarksgeorge, CC BY-SA 4.0 <https://creativecommons.org/licenses/by-sa/4.0>, via Wikimedia Commons. 2017

2. ბერლინი, Leistikowhaus, ემილი ვინკელმანი, 1909-1910 წწ. ფოტო: ფაბრის როზენკე (2013)
BERLIN, LEISTIKOWHAUS, EMILIE WINKELMANN, 1909-10. PHOTOGRAPH: FABRICE ROSENKE (2013)



3. სვეტები: დორიული, იონური და კორინთული.
გამოსახულებები აღებულია: Leonhard Helten, Architektur. Eine Einführung. Berlin 2009, S. 15. After Hellmann, Architecture for Beginners, 1984
COLUMNS: DORIC, IONIC, CORINTHIAN.
fig. taken from Leonhard Helten, Architektur. Eine Einführung. Berlin 2009, S. 15. After Hellmann, Architecture for Beginners, 1984.

4. შექსპირის ისტორიული თეატრი სტრატფორდში, ელიზაბეთ სკოტი. CHESTERTON & SHEPHERD. 1932 წ.
STRATFORD-UPON-AVON, SHAKESPEARE MEMORIAL THEATRE, ELISABETH SCOTT, CHESTERTON & SHEPHERD. 1932.
(http://theshakespeareblog.com/2018/02/women-and-suffrage-in-shakespeares-stratford/), probably copyright RIBA



5. წიგნის ყდა, გამოფენის კატალოგი: პეპჩინსკი, ბუდე (ქალი არქიტექტორები). 2017 წ.
BOOK COVER, EXHIBITION CATALOGUE: PEPCHINSKI, BUDDE, FRAU ARCHITECT (MRS. ARCHITECT). 2017

QUESTIONING THE ROLE OF WOMEN IN ARCHITECTURE

Antje Fehrmann

Keywords: *Architecture, architectural competition, women in architecture, female architects*
Illustrations: *pp. 337-339*

Talking about women in medieval architecture is talking about patronage – not the making of architecture. Women ordered, women devised, but they did not build themselves. Such is the legend in a book with collected essays, edited by Therese Martin.[1] However, there is documentary evidence for one female architect in the fourteenth century; she took over the office of her father as master mason. Agnes Ramsey is not part of futher specification in the medieval documents, and we can only guess her role as successor of her father. She is mentioned in one document of female purchase: queen Isabella of France ordered her tomb for the London Franciscan church. This probably first female architect Agnes Ramsey, however, is not part of the book edited by Martin, although she would have been a perfect example.[2] This early medieval architect Agnes Ramsey escaped research on women architects.

Another early woman architect, but not the first as John Millar has argued, might have been Lady Elizabeth Wilbraham. Born in 1632, she travelled on grand tour from England to the continent focussing on architecture, and meeting architects.[3] She owned Palladio's Quattro Libri and the annotations are by herself. These annotations brought Millar to claim 400 buildings to be built by her, although neither drawings nor letters document her role other than an important patron.

Sophy Gray was credited a role as an amateur advisor or architect. She is known to have built at least 40 anglican churches in South Africa from 1848 to 1871.[4] She designed St. Mark's cathedral in George, one of her earliest churches, in 1848. It was built by Scottish stonemasons from 1849-50 [fig. 1]. Mostly churches in neo-gothic style, they resembled English medieval parish churches, but were reduced to be the work of a bishop's wife. The profession of these three selected examples would have been: "architect". Language (in English) and spaces of architecture are definitely male and gender driven.

The empty space in architectural history is of course mostly due to missing evidence. But do we search databases for female architects? Or do we even trust women to be real architects, such as Ramsey, Wilbraham or Gray? Not for medieval or early modern times. Because if there were female masons, they are not mentioned in contemporary documents. Today, we have much more databases to research for first names and words such as master mason, builder, architect. If there were early women architects, they were missed out.

This paper will focus on the role of women in architectural competitions and architectural writing. Until today, most female architects are either not mentioned or forgotten. Most Students, be it architects or architectural historians, can hardly recollect any name of a female architect except Zaha Hadid. Because women architects were working in or taking over offices of family members or designing together with their husbands, women were hardly mentioned. They had no part in a male dominated, non binary history of architecture and engineering. In her essay on sexism and the star system in architecture, written in 1975 and published in 1989, the architect and architectural theorist Denise Scott-Brown described her fatal role as an architect and the wife of her influential colleague Robert Venturi and criticised the male network

1 Martin, Women As 'makers', 2012.
2 Fehrmann, Grab und Krone, 2008, 53-4.
3 Millar, Woman Architect, 2010.
4 Martin, Bishop's Churches, 2005.

of architecture, competition, prize giving and the gendering of architectural history.[5]

Why is the role of women in architecture still unknown or hidden by purpose? Were they forgotten, were they just not mentioned in the documents? Or were they not mentioned on purpose, to save the genius of men, such as Robert Venturi, or as a general damnatio memoria of women as builders? Why was the architectural competition not helpful for women, although their names were separated from their designs? Was there a female way of designing architecture which was not prize worthy or suitable for competition? Or is it biological: the comparison to others, the crucial process of battle or competition, which leaves women even more behind? Because many of them do not want to show off and battle?

The question of the achievement of women in architecture is, in particular, linked to the process of making architecture. This process in architecture is different to production in the other arts. Competitions for the best architectural design started in pre-Christian times, but these competitions were not common at all.[6] From the nineteenth century onwards, however, slightly earlier in Britain (end of eighteenth century), slightly later on the continent (from the 1840s), the process of making architecture has changed considerably. Industrial production necessitated safe housing for workers, engineer standards and new building types were needed in fast growing towns.

From the beginning, architectural competitions were thought to be perfect to find the best architect and the best building on a basis of international comparison. There were different groups of juries, who created an idea, an intention what they needed, a programme and a call. This call was internationally communicated through newspapers. It is interesting, that at first competitions were truly international: The call for the the big city church in German Hamburg after 1842 was published in British magazines because they wanted a technically perfect, British architect to build the Nikolaikirche in German gothic forms.[7]

After some weeks, architects had to send their designs and explanations. Later in the history of architectural competition, names were to be excluded to allow a neutral decision. The drawings, often large and coloured, were publicly exposed in exhibitions, which draw large public audiences to discuss modern architecture. Then, the final expert jury decided. Architects mostly had to revise their first plans. Sometimes, the clients or the public (newspapers or citizens) were not happy with the decision of the jury, sometimes, they named a second jury to get the design they wanted or they started a second competition.[8]

The processes of competition were at first processes of comparison and of perfectionism. Groups of clients such as church committees, city councils or private societies searched for the ideal building, for political representation, technical innovation and new aesthetics, all on the basis of international or national comparison. Competitions were thought to be fair and just. Because before that time, sovereigns, building directors and city councils decided whom they wanted to construct new buildings for perfect representation: In Berlin, it was Karl Friedrich Schinkel, who for many years determined the view and outline of the city of Berlin.

Therefore, competitions were at first thought to be dangerous, because they undermined the power of clients and allowed young architects to send their plans. How could a jury know that preliminary plans were sincere and technically perfect? Or, competitions were criticised as too complicated, because it took many meetings and travels for all different groups, or, too expensive and time consuming for architects, who had to employ many clerks. And too expensive for the clients, as they had to offer a reward for the winning architects.

Prize money or building funds, in addition, established another possibility to discriminate women architects. The first professional female architect of the United States Louise Blanchard Bethune was opely opposed to competitions because she judged the selection of architects to be unfair. Having built more than 100 buildings, including public schools, police stations, factories

5 Scott-Brown, Star System, 1989.
6 de Haan, Haagsma (ed.): Architects in competition, 1988. – Becker, Architekturwettbewerbe, 1992.
7 Fehrmann, Scott 2019.
8 Ibid.

and stores in 1891, she refused to compete for the Women's building at the big Chicago World's fair. Bethune complained in a public lecture that the builder of the Women's building would only earn about 3/10 of the sum the architects of the other exhibition buildings earned.[9]

An important critique was proposed against the formation of the juries themselves. Male members decided about male prize worthy design. As the formation of architects changed in the nineteenth century from audidactic apprenticeship in offices to education in schools of architecture, juries were filled with male professor architects who sent their students to competitions, and of course their chance to win rised immensely. The first German self-employed woman architect, Emilie Winkelmann, had applied for Hannover University in 1902 with a male first name, "Emil" Winckelmann. Although not allowed to graduate, in 1907 she won the first prize in a competition for a theatre in Berlin Blumenstraße. Later, she employed up to 15 male and female architects. I did not find any record for this theatre building. Her Berlin Leistikowhaus has a modern facade with a convex entrance, combining pilasters, a small cornice with neo-classical guttae and blind arcades [fig. 2].

Architecture is always and still today linked to gender specific language. Vitruv explained the new elegant Ionic style for a temple of Diana with feminine proportions, the volutes of its capitals with female curly hair [fig. 3]. Women served as a model for architectural style and elements, but not as a model for intelligent invention. Failure in conception or design has often been explained by female incompetence. The first important public building in Britain to be designed by a female architect was the Shakespeare Memorial Theatre at Stratford-upon-Avon [fig. 4]. The prize winning design by young architect Elisabeth Scott in 1928 excited the press as "Girl Architect Beats Men": One journalist thought in advance she must be "as strong direct and bold as the design" but was surprised by her reserve and her femininity.[10] In his critique of the building, the famous composer Sir Edward Elgar called the theatre "unspeakable ugly and wrong", and blackmailed "that awful woman", the architect, whom he did never meet.[11]

Still in 1920, Lois Lilley Howe, herself architect, doubted that women had the same chance as men: "As a means of livelihood for a woman, architecture is precarious and unadvisable, unless she has wonderful natural capacity combined with great tenacity of purpose, to which may be added exceptional opportunities."[12] The prejudice against women was "so great as to make it almost impossible for a woman to learn her trade."[13] One of the arguments against women in architecture is starcult and overstatement of self genius. We have to learn to appreciate the quiet not competing voices in architecture. There are many more women today than Zaha Hadid, and they are brIlliant architects. The German museum of architecture in Frankfurt am Main organised 100 exhibitions for male architects. For women, only the fourth exhibition took place in 2018 [fig. 5].[14] For the future, let us hope that there will be many more exhibitions of female architects!

REFERENCES:

- BECKER Heidede, Geschichte der Architektur- und Städtebauwettbewerbe. Stuttgart, 1992.
- DARLEY Gillian, A Stage of her Own, in: The Guardian, 29.1.2011 [theguardian.com/artanddesign/2011/jan/29/elisabeth-scott-royal-shakespeare-theatre].
- FEHRMANN Antje, „... their feelings of patriotism were stirred up in a wonderful manner": Sir George Gilbert Scott und der Bau der Hamburger Nikolaikirche nach 1842, in: Christina Strunck (ed.), Kulturelle Transfers zwischen

9 Hays, Bethune, 2014, 96-7.
10 Darley, Stage, 2011.
11 Ibid.
12 Hays, Bethune, 2014, 103.
13 Ibid.
14 Pepchinski, Budde, Frau Architekt 2017.

Großbritannien und dem Kontinent. Petersberg, 2019, 62–81.
- FEHRMANN Antje, Grab und Krone: Königsgrabmäler im mittelalterlichen England und die posthume Selbstdarstellung der Lancaster. München / Berlin, 2008.
- Hilde DE HAAN and Ids HAAGSMA (ed.), Architects in Competition: International Architectural Competitions of the last 200 Years. London, 1988.
- HAYS Johanna, Louise Blanchard Bethune: America's First Female Professional Architect. Jefferson, 2014.
- MARTIN Desmond, The Bishop's Churches. Struik 2005.
- MARTIN Therese (ED.), Reassessing the Roles of Women As 'makers' of Medieval Art and Architecture. Leiden / Boston, 2012.
- MILLAR John, The First Woman Architect, in: Architects' Journal, 2010, vol. 232, p. 42.
- PEPCHINSKI Mary, Christina BUDDE et al. (eds.), Frau Architekt. Seit mehr als 100 Jahren: Frauen im Architekturberuf. Over 100 years of women as professional architects. Deutsches Architekturmuseum, Frankfurt / Main. Tübingen, Berlin, 2017.
- SCOTT-BROWN Denise, "Room at the Top? Sexism and the Star System in Architecture," in: Architecture: A Place for Women, ed. Ellen Perry Berkeley. Washington, D.C., 1989, pp. 237-246 (reprinted as "Sexism and the Star System in Architecture", in: Having Words. London, 2009, pp. 79–89).